კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის დეკემბრის 31.	№ 12. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

ძუხ. 555. ა/კ. და რესპუბლიკანური კომისიების მოწყობის შესახებ საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების უმოქმედოდ დარჩენილ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ საწარმოთა აღნუსხვისა და გამოკვლევისათვის.

„ 556. საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის მეთვალყურეობის გაწევის შესახებ.

„ 557. ბაქოს ბაზრობის დებულების შეცვლის შესახებ.

„ 558. საჯარო ანგარიშების წესების შესახებ.

„ 559. სანტონინისა, სანტონინის აბებისა და ხოროსნის თესლის უკიდურესი ფასების შესახებ.

„ 560. ზემო-ავჭალის პიდრო-ელექტრონის სადგურის საალმშენებლო კომიტეტის განთავისუფლების შესახებ ზოგიერთი დამატებითი გამოსალებისაგან საჭირო ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის.

„ 561. იმ პირთა სამუშაო დღისა და დასვენების შესახებ, ვინც გასამრჯელოს სპეც-განაკვეთით იღებს.

„ 562. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდის შესახებ.

„ 563. საჯარო ანგარიშების წესების დამატებისა და განმარტების შესახებ.

„ 564. საკასო ოპერაციებისა და კრედიტებისა და საავანსო განაცემების დაფარვის წესის თაობაზე არსებული კანონების გაუქმების შესახებ.

„ 565. წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის შედგენილი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 566. გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და შვებულების-დროს მისაცემი ჯამაგირის გამოანგარიშების წესის შესახებ.

„ 567. შვებულებაში მიმავალ პირთათვის მისაცემ სამუშაო ხელფასიდან მათი ოჯახის წევრთა სარჩენად საჭირო თანხის დაკერის შესახებ.

„ 568. შემოსული თანხების საერთო-საკავშირო სათადარიგო ფონდში გადარიცხვის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 58 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

555. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კომისიების მოწყობის შესახებ საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების უმოქმედოდ დარჩენილი სამრეწველო, სასოფლო — სამეურნეო და კომუნალურ საწარმოთა აღნუსხვისა და გამოკლევისათვის.

რათა ყველგან ა/კსფსრ-ში მოხდენილ იქნეს საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების უმოქმედოდ დარჩენილი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ საწარმოთა აღნუსხვა და გამოკვლევა და შემუშავებულ იქნეს მათი აღდგენის გეგმა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან ამიერკავკასიის კომისია, რომელშიაც შევლენ: ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულისა (ა/კსფსრ-ში) და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი. კომისია მოქმედობს ა/კ. სფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით.

2. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში სათანადო რესპუბლიკანური კომისია, რომელშიაც შევლენ: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი. კომისია მოქმედობს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

3. მუშაობის საერთო ხელმძღვანელობისა და გაერთიანების მიზნით უმოქმედოდ დარჩენილ საწარმოთა აღნუსხვისა და მათ აღსადგენად საერთო გეგმის შედგენისათვის ამიერკავკასიის კომისიას დაევალოს:

ა) შეიმუშაოს და გაუგზავნოს, არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 20-სა, დაინტერესებულ უწყებათა სახელმძღვანელოდ, ინსტრუქცია საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების უმოქმედოდ დარჩენილ და აღსადგენ საწარმოთა და ქონებათა აღნუსხვის წესისა და ფორგლების შესახებ;

ბ) შეადგინოს რესპუბლიკანური კომისიების ცნობების საფუძველზე აღნიშნულ საწარმოთა და ქონებათა აღდგენის გეგმა ა/კსფსრ მასშტაბით, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს ამ გეგმის აღსასრულებლად საჭირო თანხების რაოდენობა, საამისო წყაროები და საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის ფინანსიურად ხელისშეწყობის საშუალებანი;

გ) წარუდგინოს, არა უგვიანეს 1926 წლის მარტის 1-სა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბოლოოდ შემუშავებული მოხსენება უმოქმედოდ დარჩენილ საწარმოთა და ქონებათა აღნუსხვისა და აღდგენის შესახებ.

4. მუშაობის წარმატებით და გეგმაშეწონილობით მსვლელობისათვის რესპუბლიკანურ კომისიებს დაევალოს:

ა) არა უგვიანეს 1926 წ. თებერვლის 10-სა მოიყვანონ ცნობაში საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების უმოქმედოდ დარჩენილ და

აღსადგენ საწარმოთა და ქონებათა რიცხვი, მათი ძირითადი კაპიტალის შეფასებით; თანაც აღნიშნონ, თუ რა ზომამდეა მოცვეთილი ეს საწარმონი და ქონება და რა ეღირება მათი აღდგენა; აგრეთვე—რამდენად ხელსაყრელია მათი უშუალო ექსპლოატაცია და შეიძლება თუ არა მათი იჯარით გაცემა;

ბ) შეიმუშაონ, წინა „ა" პუნქტში აღნიშნული წესით მიღებული ცნობების თანახმად, ზემოხსენებულ საწარმოთა და ქონებათა აღდგენის გეგმა რესპუბლიკანური მასშტაბით;

გ) განსაზღვრონ ამ გეგმის ასრულებისათვის საჭირო თანხების რაოდენობა და აგრეთვე აღნიშნონ სახსართა წყარო და საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის ფინანსიურად ხელისშეწყობის საშუალება;

დ) წარუდგინონ, არა უგვიანეს 1926 წ. თებერვლის 20-სა, ამიერკავკასიის კომისის საერთო, მთლად რესპუბლიკანური ჯგუფლის სახით, მოხსენება უმოქმედოდ დარჩენილ და აღსადგენ საწარმოთა და ქონებათა აღწერის შესახებ, ხოლო წინასწარ თავიანთი მოსაზრებანი და წინადადებანი უნდა წარუდგინონ დასადასტურებლად სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1042 №-ში 1925 წ. დეკემბრის 1-ს.

დადგენილება № 59 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

556. საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ" („იზვესტია"-ს 217 № რი 1925 წ. სექტემბრის 23-სა) გამოცემული დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი:

ინსტრუქცია

„საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ".

1. სსრკ და ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ყოველგვარი საქონლისათვის დაწესებული საეტიკეტო ფასები სავალდებულოა მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე, როგორც სახელმწიფო და კოპერატიული ორგანიზაციებისა, ისე კერძო პირებისათვის.

2. ყველა საქონელი, რაც, აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამოცხადებისამებრ, უნდა გაიყიდოს საეტიკეტო ფასებში, გამოშვებულ უნდა იქნეს სავაჭროდ საქონლის შესაფერ სახეევ-სათავსში, რომელსაც შემოკრული უნდა ჰქონდეს სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული ეტიკეტი.

3. ეტიკეტზე აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) ფირმის ნამდვილი სახელწოდება, ბ) წარმოების ადგილი და ფირმის ნამდვილი მისამართი, გ) საქონლის სახელწოდება, დ) საფაბრიკო—საქარხნო მარკა, ე) წონა ან, უკეთუ საქონელი ცალობით არის ჩაწყობილი, წონა და რაოდენობა, ვ) ხარისხი, ზ) საქონლის წონისა ან რაოდენობის საეტიკეტო ფასი, თ) წარწერა: „ეტიკეტზე აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით“.

4. საეტიკეტო ფასებში გასაყიდად გამოცხადებული იმ საქონლის ეტიკეტის გარეგანი სახე, რომელიც შემდგომად იქნება გამოშვებული, სრულიად უნდა შეესაბამებოდეს წინად გამოშვებული საქონლის ეტიკეტს, უკეთუ დაკანონებული ცვლილება რამ არ მომხდარა.

5. ამა, საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვის, წესების დარღვევისათვის დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა 50 მანეთამდე, რაც დადებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიულის წესით.

6. ამა ინსტრუქციის განმეორებით დარღვევისათვის დამნაშავე, დაწესებული ჯარიმის გადახდის გარდა, პასუხს აგებს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. ზედამხედველობა საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვის წესებისა და ამა ინსტრუქციის სხვა მოთხოვნათა აღსრულებისათვის, აგრეთვე ჯარიმის დადების უფლება დაეკისრება აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სასალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1042 №-ში 1925 წ. დეკემბრის 1 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 60 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

557. ბაქოს ბაზრობის დებულების შეცვლის შესახებ.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ბაქოს ბაზრობის დებულების (ა|კსფსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №, მუხ. 17) მე-11 მუხ. „ვ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) იქონიოს ურთიერთი მიმართვა ყველა დაწესებულებასა და პირთან, დასდვას ყოველგვარი გარიგება და ხელშეკრულება, რაც საჭირო იქნება საქმის მსვლელობის მიხედვით, გაიხსნას ბანკებში მიმდინარე ანგარიშები, გასცეს თამასუქები და, საერთოდ, შეასრულოს ყოველგვარი იურიდიული მოქმედება და გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ“.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 26.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1050 №-ში 1925 წ. დეკემბრის 9-ს.

განმარტება აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარისა.

558. საჯარო ანგარიშგების წესების შესახებ.

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღისა და 106 №-რის დადგენილების თანახმად და გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის სექტემბრის 30-ს თარიღის 690 №-ში გამოქვეყნებული საჯარო ანგარიშგების წესების შესაცვლელად—ფინანსთა სახალხო კომისარი, ა/კ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით, წინადადებას აძლევს ყველა საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ საწარმოს—თვისა 1925 წლის ანგარიში წარადგინოს ა/კ ფინანსთა სახახლო კომისარიატში ან ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში—კუთვნილებისამებრ, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 31-სა, ქვემოაღნიშნული ფორმით.

შენიშვნა. იმ ბალანსების ფორმას, რომლის პრესაში გამოქვეყნებაც სავალდებულოა, ა/კ. ფინ. სახ. კ-ტი ცალკე გამოაცხადებს. იმ დანართთა სია, რის ბალანსებთან ერთად წარდგენა სავალდებულოა, უკვე ეცნობა საწარმოთ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განსაკუთრებული, 1925 წ. დეკემბრის 1-ს თარიღისა და 878 №-რის, ცირკულიარით.

1. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის (ტრესტი, კომბინატი და ცალკე დამოუკიდებელი საწარმო) **სავალდებულოა ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შემდეგი ფორმები.**

ბ ა ლ ა ნ ს ი.

აქტივი.

I. ქონება.

1. შენობანი და ნაგებობანი:
   ა) შენობა წარმოებითი მნიშვნელობისა.
   ბ) შენობა, რომელიც მომსახურეობას უწევს წარმოებას.
   გ) საცხოვრებელი შენობა და მისი მომსახურე შენობა.
   დ) ნაგებობა.
2. გაწყობილობა და მანქანები:
   ა) ძალთა დანადგამი.
   ბ) ტეხნიკური გაწყობილობა და მანქანები.
3. იარაღი.
4. ინვენტარი:
   ა) უსულო.
   ბ) სულიერი.
5. ტრანსპორტი:
   ა) რკინის-გზისა.
   ბ) წყლისა.
   გ) ავტო-ტრანსპორტი.
   დ) შარაგზის ტრანსპორტი.
6. ზედნართული შეფასება ძირითადი ქონებისა საალმდგენო ღირებულობამდე (თანადროული მანეთობით).

II. მასალა.

1. წარმოებითი:
   ა) ძირითადი.
   ბ) დამხმარე.
   გ) სათბობი.
2. არა-წარმოებითი:
   ა) საშენი.
   ბ) სურსათი, ფურაჟი, საწარმოებო ტანისამოსი და სხვ.

პასსივი

I. კაპიტალები.

1. საწესდებო:
   ა) ძირითადი.
   ბ) საბრუნავი.
2. საამორტიზაციო
   ა) ქონებით.
   ბ) თავისუფალი ნაშთი.
3. სარეზერვო (სათადარიგო):
   ა) ქონებით.
   ბ) %% ქაღალდებით
   გ) თავისუფალი ნაშთი.

II. ფონდები და სპეციალური რეზერვები.

1. ფონდი მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის:
   ა) ქონებით.
   ბ) საბინაო აღმშენებლობისათვის გაცემული სესხით.
   გ) თავისუფალი ნაშთი.
2. სპეციალური ფონდები და ანარიცხთა ფონდები:
   ა) . . . . . .
   ბ) . . . . . .
3. რეზერვები:
   ა) ფასების შემცირებისათვის.
   ბ) საეჭვო ვალების ზარალის დაფარვისათვის.
   გ) . . . . . .
   დ) . . . . . .

III. სესხი და კრედიტი.

1. სპეციალური მიმდინარე ანგარიშები ბანკებში:

აქტივი

3. სათადარიგო გაწყობილობა, იარაღი და მანქანის ნაწილები.

III. ნახევარ-ფაბრიკატები საწყობებში.

IV. საქონელი და დამზადებული ნაკეთობა.

1. საქონელი გამგეობისა და განყოფილებათა საწყობებში და საკომისიოდ:
   ბ) საწყობებში და მაღაზიებში.
   ბ) საკომისიოდ გადაცემული.
2. დამზადებული ნაკეთობა ქარხნის საწყობებში.
3. გზაში.

V. ფულადი სახსარი, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობა.

1. ფულადი სახსარი:
   ა) სალარო (ნაღდი ფული, ჩეკები, გადანაგზავნები, მარკები და სხვ.)
   ბ) მიმდინარე ანგარიშები.
   გ) მიმდინარე ანგარიშები უცხოეთის ვალიუტით.
2. ფასიანი ქაღალდები:
   ა) ფასიანი და % ქაღალდები.
   ბ) უზრუნველსაყოფო ფასეულობა.
3. პაები და აქციები.
4. ძვირფასეულობა.
5. გადანაგზავნი და ფასეულობა გზაში.

VI. ანგარიშ-სავალდებულო თანხები.

ავანსები სამეურნეო ხარჯებისათვის.
ავანსები საოპერაციო ხარჯებისათვის.

VII. სამისაღებო ვალდებულებანი და დოკუმენტები.

1. სამისაღებო თამასუქები:
   ა) პორტფელში.
   ბ) სპეც. მიმდინარე ანგარიშის უზრუნველსაყოფად.
   გ) საინკასო.

პასსივი

ა) საქონლით და სასაქონლო დოკუმენტებით.
ბ) თამასუქებით.
გ) ვალდებულებით, % % ქაღალდებით და უცხოეთის ვალიუტით.

2. ბანკების სესხი:
   ა) საქონლით.
   ბ) თამასუქებით.
   გ) ვალდებულებით, % % ქაღალდებით და უცხოეთის ვალიუტით.
3. ფინ. სახ კ-ტის სესხი.
4. სამრეწვ. ფონდის სესხი.
5. სხვაგვარი სესხი.
6. დოტაცია.

IV. გაცემული თამასუქები.

V. კრედიტორები.

1. მუშა-მოსამსახურენი.
2. ნარდად მომუშავენი და გამყიდველ-მომწოდებელნი
3. მყიდველთა ავანსები.
4. ფინანსთა სახ. კ-ტი:
   ა) აქციზი, გადასახადი და გამოსაღები.
   ბ) სამორე და მიწის წიაღის სასყიდელი.
   გ) ანარიცხი ხაზინის შემოსავალში.
5. სხვადასხვა კრედიტორი.
6. დეპონენტები.

VI. ანგარიშგასწორება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არასალიკვიდო ფასეულობაზე (ს. მ. უ. ს. სამრეწველო ფონდის სფეროში).

VII. მომავალი წლების შემოსავალი

VIII. საწესდებო კაპიტალის გადიდება.

1. ძირითადი კაპიტალისა
2. საბრუნავი კაპიტალისა
3. ზედნართული შეფასება ძირითადი კაპიტალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივი.

2. სამისაღებო პროტესტქმნილი თამასუქები.
3. სამისაღებო დოკუმენტები:
   ა) პორტფელში.
   ბ) სალარო.
   გ) ფასდადებული ამანათი.

VIII. დებიტორები.

1. ავანსი მუშა-მოსამსახურეთ.
2. ავანსი ნარდად მომუშავეთ და გამყიდველ-მიმწოდებელთ.
3. მყიდველნი.
4. სხვადასხვა დებიტორი.
5. გაცემული საწინდარი.
6. საეშვო ძოვალენი.

IX. ანგარიშგასწორება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არასალიკვიდო ფასეულობაზე.

1. ანარიცხი.
2. შენატანი.

X. დაუმთავრებელი წარმოება.

XI. დაუმთავრებელი ნამზადი.

XII. კაპიტალური რემონტი:

1. დამთავრებული.
2. დაუმთავრებელი.

XIII. დაუმთავრებელი შენობანი.

XIV. მომავალი წლების ხარჯები.

XV. საწესდებო კაპიტალის შემცირება.

1. ძირითადი კაპიტალი.
2. საბრუნავი კაპიტალი.

XVI. შედეგი.

1. ზარალი საანგარაშო წლამდე.
2. ზარალი საანგარიშო წლისა.
3. ზარალი არასალიკვიდო ფონდების ფასეულობის რეალიზაციისა.

პასსივი.

IX. შედეგი.

1. მოგება საანგარიშო წლამდე.
2. მოგება საანგარიშო წლისა.
3. მოგება არასალიკვიდო ფონდების ფასეულობის რეალიზაციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალანს-იქითა მუხლები.

აქტივი

I. იჯარით აღებული ქონება.
II. საკომისიოდ მიღებული საქონელი.
III. განაღდებული თამასუქები.
IV. ბლანკდასმული თამასუქები.
V. დებიტორები საგარანტიო თამასუქებით.
VI. დეპოზიტები.
1. ქონება.
2. საქონელი და მასალა.
3. თამასუქები და დოკუმენტები.
4. ფასიანი და % ღალდები.
V მიღებული საწინდარი
1. ქონება.
2. საქონელი და მასალა.
3. თამასუქები და დოკუმენტები.
4. ფასიანი და %% ქალალდები.

პასივი

I. იჯარის მომცემნი
II. კომიტენტები
III. ბანკები თამასუქების განაღდებისათვის
IV. კრედიტორები ბლანკდასმული თამასუქებით
V. საგარანტიო თამასუქები და გაცემული დოკუმენტები
VI. დეპონენტები
VII. მესაწინდრენი.

ბალანს-გარე მუხლები

1. მიწა ..... დეს. დესეტინაზე ..... მან.
2. ტყე ..... „ „ ..... „
3. წიალი ..... „ „ ..... „

მოგებისა და ზარალის ანგარიში.

ზარალი.

1. ზარალი საქონლისა და ნაკეთობის რეალიზაციისა.

ა. შინა-ბაზარზე:

ა) საკუთარი.
ბ) ნაყიდი.
გ) საიმპორტო.
დ) საკომისიო.

მოგება.

1. მოგება საქონლისა და ნაკეთობის რეალიზაციისა.

ა შინა-ბაზარზე.

ა) საკუთარი.
ბ) ნაყიდი.
გ) საიმპორტო.
დ) საკომისიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ა რ ა ლ ი

ბ. საგარეო ბაზარზე:

2. ზარალი დამხმარე მეურნეობათა პროდუქტის რეალიზაციისა.
3. ზარალი მასალის გაცემისა.
4. ზარალი შენაკვეთის აღსრულებისა:
   ა) მონტაჟი.
   ბ) გადამუშავება.
5. სავაჭრო ხარჯები.
6. გამგეობის საერთო ადმინისტრატიული ხარჯები.
7. გადახდილი პროცენტები:
   ა) პროცენტი ბანკის კრედიტისა და სესხისა.
   ბ) ანგარიშგასწორებისა და სხვ.
8. ზარალი მასალისა, საქონლისა და საობმობის ნაკლებობის გამო:
   ა) მასალა.
   ბ) ნახევარფაბრიკატები.
   გ) საქონელი.
9. ზარალი:
   ა) ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა.
   ბ) უცხოეთის ვალიუტის რეალიზაციისა.
10. ზარალი არასაიმედო ვალებისა და სარეზერვოდ მოქცეული საეჭვო ვალების ჩამოწერის გამო:
   ა) არასაიმედო ვალების ჩამოწერა.
   ბ) რეზერვად მოთავსება საეჭვო ვალებისა.
11. გადახდილი ჯარიმა, საურავი და პირგაუტეხლობის ჯარიმა.
12. ზარალი მასალისა და საქონლის გადაფასების გამო:
   ა) მასალა.
   ბ) ნახევარფაბრიკატები.
   გ) საქონელი.
13. დახურულ-დაუშლელ საწარმოთა შენახვა.
14. ზარალი ფაბრიკების მოცდენის გამო.

მ ო გ ე ბ ა

ბ. საგარეო ბაზარზე:

2. მოგება დახმარე მეურნეობათა პროდუქციის რეალიზაციისა.
3. მოგება მასალის გაცემისა.
4. მოგება შენაკვეთის აღსრულებისა:
   ა) მონტაჟი.
   ა) გადამუშავება.
5. მიღებული პროცენტი:
   ა) პროცენტიანი ქაღალდებისა.
   ბ) თამასუქებისა.
   გ) მიმდინარე ანგარიშებისა.
   დ) ამგარიშგასწორებისა.
6. გადანამეტი მასალა, საქონელი და საობმობი:
   ა) მასალა.
   ბ) ნახევარფაბრიკატები.
   გ) საქონელი.
7. მოგება:
   ა) ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა.
   ბ) უცხოეთის ვალიუტის რეალიზ.
8. მოგება სარეზერვოდ მოქცეული ვალიებისა და ჩამოწერილი ვალების შემოტანის გამო:
   ა) საეჭვო ვალებისა.
   ა) არასაიმედო ვალებისა.
9. მიღებული საურავი და პირგაუტეხლობის ჯარიმა.
10. დივიდენდი: მოგება სხვა საწარმოსა და დაწესებულებაში მონაწილეობით.
11. მოგება საქონლისა და მასალის ზედნართული შეფასების გამო:
   ა) მასალა.
   ბ) ნახევარფაბრიკატები.
   გ) საქონელი.
12. საიჯარო შემოსავალი.
13. მოგება გასული ქონებისა.
14. შემთხვევითი შემოსავალი.

15. ზარალი გასული ქონებისა.
16. ზარალი სტიქიური უბედურების გამო.
17. შემთხვევითი ხარჯები.

შენიშვნა. ზემოაღნიშნული ფორმები ბალანსებისა და მოგება-ზარალის ანგარიშისა სავალდებულოა აგრეთვე არა სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის, რომელნიც საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ არიან.

II. **სავაჭრო და სავაჭრო ტიპის სააქციონერო საზოგადოებათათვის** (საპაიო ამხანაგობა) **სავალდებულოა ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შემდეგი ფორმები.**

ბ ა ლ ა ნ ს ი.

აქტივი.

I. ფულადი სახსარი.

სალარო.
მიმდინარე ანგარიშები.
„ „ უცხ. ვალიუტით.
ვალიუტა და დევიზი.
ფულადი გადანაგზავნი გზაში.

II. ფასიანი და %%-ანი ქაღალდები.

ფასიანი და %%-ანი ქაღალდები:
ა) პორტფელში.
ბ) საწინდრად და უზრუნველსაყოფად.
ფასიანი ქაღალდები გზაში.

III. მონაწილეობა სხვა საწარმოში.

პაები და აქციები.

IV. საქონელი.

საქონელი საწყობებში *).
საქონელი ცალობითი მაღაზიებში.
საქონელი გადამუშავებაში.
საქონელი საკომისიოდ გადაც
ა) შინაგან ბაზარზე.
ბ) საგარეო ბაზარზე.

*) მათ შირის დაგირავებული საქონელი „.....„ მანეთისა.

პასსივი

I. კაპიტალები.

ძირითადი (საპაიო) კაპიტალი.
სათადარიგო კაპიტალი:
ა) %%-ან ქაღალდებით
ბ) ბრუნვაში.
სპეციალური კაპიტალები (სხვა-და-სხვა ს-ხის კაპიტალზე დაყოფით).
საამორტიზაციო კაპიტალი.

II. ფონდები და რეზერვები.

ფონდები საორგანიზაციო ხარჯებისათვის (სადამფუძნებლო).
ფონდები მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.
რეზერვები (სხვა-და-სხვა სახის რეზერვზე დაყოფით).

III. ხესხი.

სპეციალური მიმდინარე ანგარიშები:
ა) საქონლით და სასაქონლო დოკუმენტებით.
ბ) თამასუქებით.
გ) ფისიანი ქაღალდებით
ვადიანი ხესხი ბანკებში:
ა) საქონლით და სასაქონლო დოკუმენტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ქ ტ ი ვ ი

საქონელი საზღვარგარედ:
ა) საექსპორტო.
ბ) საიმპორტო.
საქონელი გზაში.

V. მასალა და ტარა.

ა) სახვევ-სათავსი მასალა.
ბ) სხვა-და-სხვა მასალა.

VI. ქონება.

შენობა და ნაგებობა.
ინვენტარი და მოწყობილობა.

VII. ანგარიშ-სავალდებულო თანხები.

ა) საადმინისტრ.-სამეურნეო ხარჯებისათვის.
ბ) საოპერაციო ხარჯებისათვის.

VIII. სამისაღებო თამასუქები და დოკუმენტები.

თამასუქები პორტფელში.
თამასუქები საინკასოდ.
თამასუქები სპეც. მიმდინ. ანგარიშების უზრუნველსაყოფად.
განაღდებული თამასუქები.
ბლანკდასმული თამასუქები (სხვა-და-სხვა პირთან და დაწესებულებაში).
პროტესტქმნილი თამასუქები.
სამისაღებო ფასიანი დოკუმენტები.
თამასუქები და დოკუმენტები გზაში.

IX. დებიტორები.

მყიდველნი.
კომისიონერნი.
ავანსი ნარდად მომუშავეთ და გამყიდველ-მიმწოდებელთ.
ავანსი მუშა-მოსამსახურეთ.
უცხოეთის დებიტორები.
სხვა დებიტორები.
საეჭვო მოვალეები.

პ ა ს ს ი ვ ი

ბ) თამასუქებით.
გ) ფასიანი ქაღალდებით.
თამასუქების განაღდება ბანკებში.
ვალდებულებანი ბლანკდასმული თამასუქებით.
ვადიანი სესხი.

IV. თამასუქები გადახდისათვის.

V. კრედიტორები.

ნარდად მომუშავენი და გამყიდველ-მიმწოდებელნი.
კომიტენტები ანგარიშგასწორებისათვის.
მყიდველთა ავანსები.
მუშა მოსამსახურენი.
უცხოეთის კრედიტორები.
დეპონენტები.
ფინ. სახ. კ-ტი:
ა) გადასახადები და გამოსაღები.
ბ) ანარიცხები ხაზ. შემოსავალში.
აქციონერები სადივიდენდო ანგარიშგასწორებისათვის.
სხვა კრედიტორები.

VI. მომავალი წლების შემოსავალი.

VII. მოგება.

მოგება წარსული წლებისა
მოგება საანგარიშო წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივი

პასსივი

X. ურეალიზაციოდ და სასყიდელ-გადაუხდელად დარჩენილი პაები და აქციები.

ურეალიზაციოდ დარჩენილი პაები და აქციები.

აქციონერები აქციებისათვის ანგარიშ-გასწორებით.

XI. დაუმთავრებელი ოპერაციები.

დაუმთავრებელი ნამზადი და შენასყიდი.

დაუმთავრებელი შენობები.

დაუმთავრებელი კაპიტალური რემონტი.

XII. მომავალი წლების ხარჯი.

კაპიტალური დანახარჯი იჯარით აღებული ქონებისათვის.

მომავალი წლების ხარჯები.

XIII. ზარალი.

წარსული წლების ზარალი.

საანგარიშო წლის ზარალი.

ბალანს-იქითა მუხლები.

აქტივი.

საქონელი, საკომისიოდ მიღებული.

საქონელი, დავალებით ნაყიდი.

თამასუქები უზრუნველსაყოფად მიღებული.

თამასუქმქონებელნი უზრუნველყოფისათვის.

ფასეულობა, უზრუნველსაყოფად მიღებული.

ფასეულობა, საწინდრად მიღებული.

იჯარით აღებული ქონება.

საურთიერთო შინაგანი ანგარიშგასწორება.

კომიტენტები საკომისიო საქონლისა.

პასსივი.

კომიტენტები საქონლის შესყიდვისათვის.

კომიტენტები დავალებისათვის.

თამასუქგამცემნი უზრუნველყოფისათვის.

თამასუქები, უზრუნველსაყოფად გაცემული.

დეპონენტები უზრუნველსაყოფად მიღებული ფასეულობით.

საწინდარგამცემნი.

იჯარის გამცემნი.

საურთიერთო შინაგანი ანგარიშგასწორება.

ბალანს-გარე მუხლები.

1. მიწა ..... დეს. დესეტინაზე ..... მან.
2. ტყე ..... „ „ ..... „
3. წიაღი ..... „ „ ..... „

მოგებისა და ზარალის ანგარიში

დებეტი.

1. ზარალი საქონლის რეალიზაციისა.

ა. შინა-ბაზარზე:

ა) საკუთარი შინაგანი
ბ) საკუთარი საიმპორტო
გ) საკომისიო შინაგანი
დ) საკომისიო საიმპორტო.

ბ. საგარეო ბაზარზე:

ა) საკუთარი საექსპორტო.
ბ) საკომისიო საექსპორტო.

2. საერთო ადმინისტრატ. ხარჯები.
3. სახელმწიფო გადასახადები და ადგილობრივი გამოსაღები.
4. საკრედიტო ოპერაციების ხარჯები.
5. გადახდილი კომისია.
6. საერთო სავაჭრო ხარჯები.
7. არასაიმედო ვალები.
8. ანარიცხი რეზერვებისათვის.
9. საქონლის ამორტიზაცია.
10. დანაკლისი, განადენი, დანაშრობი.
11. გადაფასების შედეგი.
12. ზარალი სტიქიური უბედურების გამო.
13. სხვა-და-სხვა ზარალი.

კრედიტი.

1. გაყიდული საქონლის შემოსავალი.

ა. შინა-ბაზარზე:

ა) საკუთარი შინაგანი.
ბ) საკუთარი საიმპორტო.
გ) საკომისიო შინაგანი.
დ) საკომისიო საიმპორტო.

ბ. საგარეო ბაზარზე:

ა) საკუთარი საექსპორტო.
ბ) საკომისიო საექსპორტო,

2. მიღებული პროცენტი.
3. მიღებული კომისია.
4. გადაფასების შედეგი.
5. გადანამეტი საქონელი.
6. მოგება სარეზერვოდ მოქცეული და ჩამოწერილი ვალების მიღების გამო.
7. შემთხვევითი შემოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სამრეწველო-სავაჭრო ტიპის სააქციონერო საზოგადოებათათვის (საპაიო ამხანაგობანი) სავალდებულოა ის ფორმები, რაც განსაზღვრულია სახელმწიფო და სხვ. ამისთ. ვაჭრობისათვის, შემდეგი კორექტივებით.

ბალანსისათვის დაწესებულია ანგარიშების შემდეგი ნომენკლატურა

„ქონების“ განყოფილებისათვის:

1. შენობანი და ნაგებობანი.
2. გაწყობილობა და მანქანები.
3. იარაღი.
4. ინვენტარი.
5. ტრანსპორტი.

„მასალის“ განყოფილებისათვის:

1. წარმოებითი:
   ა) ძირითადი.
   ბ) დამხმარე.
   გ) სათბობი.
2. არა-წარმოებითი:
   ა) საშენი
   ბ) სურსათი, ფურაჟი, საწარმოებო ტანისამოსი და სხვ.
3. სათადარიგო გაწყობილობა, იარაღი, მანქანების ნაწილები.
4. გზაში.

„საქონლის“ განყოფილებას დაემატება ახალი ანგარიში „დამზადებული ნაკეთობა ქარხნის საწყობებში“. ამოიშლება ანგარიში „საქონელი გადამუშავებაში“

ანგარიშს „საქონელი საწყობებში“— სახელწოდება შეეცვლება შემდეგნაირად „საქონელი გაძგეობისა და ეანყოფილებათა საწყობებში“

„საქონლის“ განყოფილების შემდეგ შემოღებულია ახალი განყოფილება „ნახევარფაბრიკატები საწყობებში“

„დაუმთავრებელი ოპერაციების“ „ბგანყოფილებაში შეიტანება დამატებითი ანგარიში—„დაუმთავრებელი წარმოება“. **მოგებისა და ზარალის ანგარიშისათვის.** დებეტს დაემატება:

ა) ზარალი დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის რეალიზაციისა.

ბ) ზარალი მასალის გაცემისა.

გ) ზარალი შენაკვეთის აღსრულებისა.

დ) დაუშლელ-დახურულ დაწესებულებათა შენახვა.

ე) ზარალი გასული ქონებისა.

დებეტში შეიცვლება:

ა) ნაცვლად „1. ზარალი საქონლის რეალიზაციისა“—„ზარალი საქონლისა და ნაკეთობის რეალიზაციისა“.

ბ) „10. დანაკლისი, დანაშრობი, განადენის“-ს ნაცვლად „ზარალი: ა) საქონლისა, ბ) ნახევარფაბრიკატებისა და გ) მასალის ნაკლებობის გამო“.

გ) ნაცვლად „11. გადაფასების შედეგისა—ა) საქონლისა, ბ) ნახევარფაბრიკატებისა და გ) მასალის შეფასებისა“.

კრედიტს დაემატება:

ა) მოგება დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის რეალიზაციისა.

ბ) მოგება მასალის გაცემისა.

გ) მოგება შენაკვეთის აღსრულებისა.

დ) მოგება გასული ქონებისა.

კრედიტში შეიცვლება:

ა) „1. გაყიდული საქონლის შემოსავლის“ ნაცვლად—„საქონლისა და ნაკეთობის რეალიზაციის შემოსავალი“

ბ) „4. საქონლის გადაფასების შედეგი“-ს ნაცვლად—„მოგება ზედანართული შეფასებისა: ა) საქონლისა, ბ) ნახევარფაბრიკატებისა და გ) მასალისა“

გ) „5. ზედმეტი საქონლის“ ნაცვლად—„გადანამეტი: ა) საქონელი, ბ) ნახევარფაბრიკატები და გ) მასალა“.

IV. სავაჭრო ტიპის შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა და საპაიო ამხანაგობათათვის სავალდებულოა ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შემდეგი ფორმები.

ბ ა ლ ა ნ ს ი.

აქტივი.

I. ფულადი სახსარი.

1. სალარო.
2. ვალიუტა და დევიზები (ხელთქონებული).
3. მიმდინარე ანგარიშები.
4. გადანაგზავნი და თანხები გზაში.

II. ფასიანი ქაღალდები.

1. ფასიანი და %%-ნი ქაღალდები:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოეთისა.
2. პაები და აქციები სხვა საწარმოთა.
   ა) საბჭოთა
   ბ) უცხოეთისა.

III. მატერიალური ფასეულობა.

ა) საქონელი.

1. შინა-დამზადების (სსრკ-ში) საქონელი:
   ა) საწყობებში.
   ბ) გზაში.
   გ) საკომისიოდ გაცემული.
2. საექსპორტო საქონელი:
   ა) უცხოეთის საწყობებში.
   ბ) უცხოეთში საკომისიოდ გაცემული
   გ) გზად უცხოეთში.
3. საიმპორტო საქონელი:

პასსივი.

I. კაპიტალი.

1. ძირითადი კაპიტალი.
2. სათადარიგო კაპიტალი.
3. საამორტიზაციო კაპიტალი.
4. სპეციალური კაპიტალი:
   ა)
   ბ)
   გ)
5. ფონდები და რეზერვები.
   ა)
   ბ)
   გ)

II. სესხი.

1. სპეციალური მიმდინარე ანგარიშები:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოეთური.
2. თამასუქების განაღდება ბანკებში:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოეთური.
3. ვადიანი სესხი:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოეთური.

III. თამასუქები გადახდისათვის.

IV. კრედიტორები.

1. გამყიდველ-მიმწოდებელნი.
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ქ ტ ი ვ ი

ა) საწყობებში
ბ) საკომისიოდ გაცემული
გ) გზაში.

4. დავალებით შესყიდული საქონელი.
5. საქონელი საქმეში.

ბ) მ ა ს ა ლ ა დ ა ტ ა რ ა.

ა) სახვევ-სათავსი
ბ) სხვა დამხმარე.

IV. ქონება.

ა) ინვენტარი და გაწყობილობა.
ბ) შენობანი და ნაგებრობანი.

V. სამისაღებო თამასუქები და დოკუმენტები.

1. თამასუქები პორტფელში.
2. განადღებული თამასუქები.
3. თამასუქები ინკასოდ.
4. თამასუქები უზრუნველსაყოფად.
5. პროტესტქმნილი თამასუქები.
6. სამისაღებო ფასიანი დოკუმენტები და აკრედიტივები.

VI. დებიტორები.

1. მყიდველნი:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოელნი.
2. კომისიონერები ანგარიშგასწორებისათვის:
   ბ) საბჭოთა.
   ბ) უცხოელნი.
3. ავანსი გამყიდველ-მიმწოდებელთ:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოელნი.
4. მუშები ღა მოსამსახურენი.
5. სხვა დებიტორები:
   ა) საბჭოთა.
   უ) უცხოელნი.

პ ა ს ს ი ვ ი

2. მყიდველთა ავანსები:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოელნი.
3. კონსიგნანტები და კომიტენტები ანგარიშგასწორებისათვის:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოელნი.
4. დეპოზიტები.
5. მუშები და მოსამსახურენი
6. სხვადასხვა პირი და დაწესებულება:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოეთური.

V. აქციონერები გადაუხდელი დივიდენდით.

VI. მომავალი წლის შემოსავალი.

VII. წმინდა მოგება.

1. წარსული წლების მოგება.
2. საანგარიშო პერიოდის მოგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივი	პასსივი

6. საეჭვო ვალები:
   ა) საბჭოთა.
   ბ) უცხოეთური.

VII. ანგარიშსავალდებულო თანხები.

1. ანგარიშვალდებული პირნი:
   ა) ადმინისტრ.-სამეურ. ავანსები.
   ბ) საოპერაციო.
2. სააგენტურო და საწარმომადგენლო.

VIII. დაუმთავრებელი ოპერაციები.

1. დამზადებული საქონელი.
2. გადამუშავება.
3. ნაყიდი საიმპორტო საქონელი.
4. აშენება და კაპიტალური რემონტი.

IX. ურეალიზაციოდ და სასყიდელ—გადაუხდელად დარჩენილი აქციები და პაები.

1. ურეალიზაციოდ დარჩენილი აქციები და პაები.
2. აქციონერები აქციებისა და პაების ანგარიშგასწორებისათვის.

X. მომავალი წლების ხარჯები.

XI. ზარალი.

ა) ზარალი წარსული წლებისა.
ბ) ზარალი საანგარიშო პერიოდისა.

ბალანს-იქითა ეუხლები,

დებეტი.	კრედიტი.
საკომისიოდ მიღებული საქონელი	კომიტენტები საკომისიო საქონლისა
საკონსიგნაციო საქონელი.	საქონლის ქონსიგნანტები.
დებიტორები საუზრუნველყოფო სოლოთამასუქებით	უზრუნველსაყოფად გაცემული სოლოთამასუქები.
ურთიერთი შინაგანი ანგარიშგასწორება:	შინაგანი აგარიშგასწორება:
ა) ანგარიშგასწორება გამგეობისა განყოფილებებთან და საწარმოებთან.	ა) ანგარიშგასწორება განყოფილებებისა გამგეობასთან და საწარმოებთან.

ბალანსს უნდა ჰქონდეს ვერტიკალური გრაფები: 1) გამგეობა ბალანსის ვალიუტით, 2) განყოფილებანი ბალანსის ვალიუტით სსრკ-ში, 3) განყოფილებანი ბალანსის ვალიუტით საზღვარგარეულ, 4) ჯამი—გამგეობა და განყოფ. ბალანსის ვალიუტით, 5) იგივე ჩერვონ. მანეთობით, 6) ბალანსის ჯამის %.

მოგებისა და ზარალის ანგარიში.

დებეტი.

1. საერთო სავაჭრო ხარჯები.
2. სახელმწ. გადასახადები და ადგილ. გამოსაღები.
3. საკონსიგნაციო საქონლის ხარჯები.
4. საკრედიტო ოპერაციების ხარჯები.
5. კომისია.
6. არა-საიმედო ვალები.
7. ქონების ამორტიზაცია.
8. ანარიცხი რეზერვისათვის.
9. დანაკლისი, განადგენი, დანაშრობი.
10. გადაფასების შედეგი.
11. წაგება უცხ. ვალიუტის ოპერაციებით.
12. საკურსო განსხვავება.
13. სხვადასხვა ზარალი.

წმინდა მოგება.

კრედიტი.

1. გაყიდული საქონლის შემოსავალი:
   ა) შინა-დამზადებული.
   ბ) საექსპორტო.
   გ) საიმპორტო.
2. გაყიდული საკონსიგნაციო საქონლის შემოსავალი.
3. გაყიდული მასალისა და ტარას შემოსავალი.
4. გაყიდული საკომისიო საქონლის კომისია.
5. უცხ. ვალიუტის ოპერაციების შემოსავალი.
6. მიღებული პროცენტი.
7. გადაფასების შედეგი.
8. გადანამეტები.
9. საკურსო განსხვავება.
10. შემთხვევითი შემოსავალი.

ზარალი.

V. კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის სავალდებულო ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის ფორმები გამოქვეყნებულ იქნება ცალკე.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **გენკინი.**

სახელმწიფო შემოსავალთა
სამმართველოს უფრ. მოადგ. **ალამალოვი.**

ვაჭრობა-მრეწველობის
განყოფილების მმართველი **ფერბერგი.**

გაჰოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1046 №-ში 1925 წ. დეკემბრის 5-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა №721

დადგენილება № 8-64 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. დეკემბრის 2.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

559. სანტონინისა, სანტონინის აბებისა და ხოროსნის თესლის უკიდურესი ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად—აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალური უკიდურესი ფასები:

სანტონინზე:

ა) ჩაწყობილ-შეხვეული 10 გრამიდან 5 კილომდე—ჩაწყობა-შეხვევის ღირებულობის ჩათვლით—1 კილო—405 მან.

ბ) ექიმის რეცეპტით აფთიაქში 1 დეციგრამმი—10 კაპ.

2. **სანტონინის აბებზე, წონით 0,5 გრამმი, რაც 0,02 გრ. სანტონინს შეიცავს:**

ა) სახელმწიფო სამედიკამენტო ვაჭრობის მიერ გაცემული 1 კილოგრამმი—7 მან. და 50 კაპ.

ბ) აფთიაქში ექიმის რეცეპტით გაცემული (ჩაუწყობ-შეუხვეველად) თითო აბი—0,5 კაპ.

შენიშვნა. როდესაც აბი დიდი რაოდენობის სანტონინს შეიცავს-ეს გაადვილებს აბს იმის მიხედვით, თუ აბში სანტონინი რა პროპორციით იქნება (იმ ანგარიშით, რომ 1 დეციგრამმი სანტონინი ღირს 10 კაპ.)

3. **ხოროსნის თესლზე:**

ა) სახელმწიფო სამედიკამენტო ვაჭრობის მიერ გაცემულ პაკეტში, რომელშიაც 15 გრამმია,—1 პაკეტი 7 კაპ.

ბ) როდესაც პაკეტში 25 გრამმია—1 პაკეტი 11 კაპ.

გ) აფთიაქის მიერ გაცემულ პაკეტში, რომელშიაც 15 გრამმია—1 პაკეტი 10 კაპ.

დ) აფთიაქის მიერ გაცემულ პაკეტში, რომელშიაც 25 გრამმია—1 პაკეტი—15 კაპ.

4. ამა დადგენილების 1-ლი, მე-2 და 3 მუხლით დაწესებული ფასები გავრცელდება სახელმწიფო ვაჭრობაზე, კოოპერაციაზე და კერძო პირებზე.

5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა აკსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

აკ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი**
მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **ნოვიკოვი.**
საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1048 №-ში 1925 წ. დეკემბრის 7-ს.

დადგენილება აკ. რკ. გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1925 წ. ნოემბრის 30.

560. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის განთავისუფლების შესახებ ზოგიერთი დამატებითი გამოსაღებისაგან სადგურის საბოლოებო ნაგებობათათვის საჭირო ქვიშა-ხრეშის გადაზიდვისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი განთავისუფლებულ იქნეს ამ სადგურის საბოლოებო ნაგებობათათვის საჭირო 4000 ვაგონი ქვიშა-ხრეშის (ტვ. 38, პოზ. 27) სადგურ სკრიდან სადგ. ავჭალამდე გადაზიდვისათვის **სასასწვრე გამოსაღებისაგან** და **ნახევარი დატვირთვა-გადმოტვირთვის საწილადო გამოსაღებისაგან.**

ეს სატარიფო შეღავათი დაწესებულია 1926 წლის ნოემბრის 1-დე; ამასთანავე ზემოაღნიშნული 4.000 ვაგონიდან მექანიკურად გამოკლებულ უნდა იქნეს იმ ვაგონების რაოდენობა, რაც ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტმა უკვე გადაზიდა ქვიშა-ხრეში, თანახმად აკ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის აწ. მაისის 11-ს დადგენილებისა (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 837 №-ში აწ. მაისის 13-ს), აწ. მაისის 20-დან დაწყებული იმ დღემდე, ვიდრე დადგენილება ესე ძალაში შევიდოდეს.

დადგენილება ესე ძალაში შედის შვიდი დღის გასვლის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა.

აკ. რკ. გზ. გამგეობის წევრი **ფიცხელაური**
საუწყებათაშორისო სატარიფო
თათბირის საქმეთა მმართველის მოადგილე **ვერდერევსკი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1050 №-ში 1925 წ, დეკემბრის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. დეკემბრის 7.

561. იმ პირთა სამუშაო დღისა და დასვენების შესახებ, ვინც გასამრჯელოს სპეც-განაკვეთით იღებს.

იმ გაუგებრობის გამო, რამაც თავი იჩინა ადგილობრივ დაწესებულებათა პრაქტიკაში ისეთ პირთა სამუშაო დღისა და დასვენების საკითხის გარშემო, რომელნიც გასამრჯელოს სპეც-განაკვეთით იღებენ, ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. ნორმალური სამუშაო დღე და დასვენების დრო ყველა იმ პირისათვის, ვინც დაქირავებულ შრომას ეწევა, მიუხედავად სასყიდლის ნორმისა, განისაზღვრება შრომის კანონთა კოდექსით; ამასთანავე, უკეთუ იმ პირს, რომელიც გასამრჯელოს სპეც-განაკვეთით იღებს, მოუხდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ნორმალურ სამუშაო დღეზე მეტი დრო მოანდომოს, მას ამისათვის განსაკუთრებული სასყიდელი არ მიეცემა.

2. იმ პირს, რომელიც გასამრჯელოს სპეც-განაკვეთით იღებს, დასვენების დრო დღესასწაულში უნდა მიეცეს ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების ყველა დანარჩენი მომუშავის თანაბრად. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც, მისი მუშაობის პირობების მიხედვით, შეუძლებელია დღესასწაულში თუ დასვენების დღეს მიეცეს მას დრო დასვენებისათვის, მას ამ ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდელი არ მიეცემა (გარდა შრომის ხელშეკრულობაში გათვალისწინებული შემთხვევისა) რადგანაც ზედმეტი მუშაობის სასყიდელი სპეც-განაკვეთით აინაზღაურება.

3. ამა განმარტების გამოცემისათანავე გაუქმებულია ყველა წინად გამოცემული განმარტება, რაც მას ეწინააღმდეგება.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგის მაგიერ **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1050 №-ში 1925 წ. დეკემბრის 9-ს.

დადგენილება № 79 ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიისა, რომელიც განსაზღვრავს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდებს.

1925 წ. დეკემბრის 12.

562. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდების შესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის ზოგიერთმა სახელმწიფო საბჭოთა სამეურნეო ორგანომ არ წარმოადგინა განცხადება 1925-1926 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევარწლისათვის საჭირო სპეციალური ფონდების შესახებ, ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისია, 1925 წლის ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 74 №-რის დადგენილების („შრომის კანონმდებლობის ვესტნიკი"-ს მე-20 №-რი) დასამატებლად ადგენს;

1. განცხადების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად გამოცხადებულ იქნეს შვიდი დღის ვადა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

2. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ამიერკავკასიის მასშტაბის ყველა სახელმწიფო ორგანოს შესახებ (მათ შორის ამიერკავკასიის კოოპერატიული შენაერთების ორგანოების შესახებ, რომლებზედაც გავრცელდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილება) რომელიც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ ვადაზე არ წარმოადგენს განცხადებას სპეციალური ფონდის თაობაზე, ეცნობოს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას კანონიერ პასუხისგებაში მისაცემად:

კომისიის თავმჯდომარე—ა/კ. შრომის
სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

კომისიის მდივანი—ა/კ. შრომის
სახ. კ-ტის სატარ.-საკონფ. განყ. გამგე **ლეინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1055 №-ში 1925 წ. დეკემბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება ა/კ. სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარისა.

563. **საჯარო ანგარიშგების წესების დამატებისა და განმარტების შესახებ.**

გაზეთ „ზარია ვასტოკა"-ს ამ წლის დეკემბრის 5-ს თარიღის 1046 №-ში გამოქვეყნებული განმარტების დასამატებლად ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარი, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით, წინადადებას აძლევს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციას წარადგინოს—კუთვნილებისამგრ—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში ან ა/კ. სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში, არა უგვიანეს 1925 წლის დეკემბრის 31-სა, თავისი 1924—1925 საოპერაციო წლის, ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში შემდეგი ნომენკლატურით:

ბ ა ლ ა ნ ს ი

ა ქ ტ ი ვ ი

I. ფულადი სახსარი

სალარო.
მიმდინარე ანგარიში
„ „ უცხ. ვალიუტით.
ვალიუტა და დევიზები.
ფულადი გადანაგზავნი გზაში.

II. ფასიანი ქაღალდები.

ფასიანი ქაღალდები პორტფელში.
„ „ უზრუნველსაყოფად.
ფასდადებული ამანათი და დოკუმენტები.
საინკასოდ.

III. სამისაღებო თამასუქები.

ა) პორტფელში.
ბ) განაღდებაში.
გ) უზრუნველსაყოფად.
დ) გაგზავნილი საინკასოდ.
ე) გადაკვეული გადასახდელად.
ვ) ვადაგადაცილებული.
ზ) პროტესტქმნილი.

IV. საქონელი და მასალა.

საქონელი საწყობებში:
ა) მომარაგებისათვის.

პ ა ს ს ი ვ ი.

I. კაპიტალები.

ძირითადი კაპიტალი:
ა) სახელმწიფო ფონდები.
ბ) საკუთარი.
საპაიო კაპიტალი.
სპეციალური კაპიტალები:
ა) . . . . . .
ბ) . . . . . .
გ) . . . . . .

II. საკრედიტო ოპერაციები.

ვადიანი ანაბარი.
არა-ვადიანი ანაბარი.

III. თამასუქები და სესხი.

გაცემული თამასუქები.
ბანკები თამასუქების განაღდებისათვის.
სპეციალური მიმდინარე ანგარიშები:
ა) თამასუქებით.
ბ) საქონლით.
გ) სხვადასხვა.
ბანკები სესხისათვის:
ა) თამასუქებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივი.

ბ) გასაღებისათვის.
საქონელი ცალობითი მაღაზიებში.
საქონელი საკომისიოდ გადაცემული.
საქონელი დაგირავებული.
მასალა:
ა) სამეურნეო საჭიროებისათვის.
ბ) სამრეწველო მიზნით.
ტარა.
საქონელი, მასალა და ტარა გზაში.

V. დაუმთავრებელი ოპერაციები.

წარმოება და გადამუშავება.
სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები.
დანამზადები.

VI. დებიტორები.

მყიდველნი:
ა) კოოპერატივთა კავშირის წევრნი.
ბ) სსრკ კოოპერატიული ცენტრები.
გ) ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კავშირები.
დ) სხვა კოოპერატიული ორგანოები.
ე) სახელმწიფო ორგანოები.
ვ) კრედიტები მუშათათვის.
ზ) კერძო პირები და ორგანიზაციები.
კომისიონერები.
უცხოელი დებიტორები,
გაცემული სესხი.
ანგარიშვალდებული პირნი:
ა) ადმინ.-სამეურნეო.
ბ) ოპერატიული.
გამყიდველ-მიმწოდებელნი:
ა) კოოპერატივების კავშირის წევრნი.
ბ) სსრკ კოოპერატიული ცენტრები.
გ) ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური ცენტრები.
დ) სხვა კოოპერატიული ორგანოები.
ე) სახელმწიფო ორგანოები.
ვ) კერძო პირები და ორგანიზაციები.
დაწესებულებანი და პირნი სხვადასხვა ანგარიშგასწორებისათვის.

პასსივი.

ბ) საქონლით.
გ) სხვადასხვა.
სხვა სესხი.

IV. კრედიტორები.

გამყიდველ- მიმწოდებელნი:
ა) კოოპერატივების კავშირის წევრნი
ბ) სსრკ კოოპერატიული ცენტრები.
გ) ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კავშირები.
დ) სხვა კოოპერატიული ორგანოები.
ე) სახელმწიფო ორგანოები.
ვ) კერძო პირები და ორგანიზაციები.
მყიდველნი:
ა) კოოპერატივების კავშირის წევრნი.
ბ) სსრკ კოოპერატიული ცენტრები.
გ) ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კავშირები.
დ) სხვა კოოპერატიული ორგანოები.
ე) სახელმწიფო ორგანოები.
ვ) კრედიტები მუშათათვის.
ზ) კერძო პირები და ორგანიზაციები.
ვალდებულება ბლანკის წარწერისათვის.
დაწესებულებანი და პირნი სხვადასხვა ანგარიშგასწორებისათვის.
მუშები და მოსამსახურენი გასამჯელოსათვის.
ანგარიშვალდებული პირნი:
ა) ადმინისტრ.-სამეურნეო.
ბ) ოპერატიული.
გარდამავალი თანხები.

V. შინაგანი ანგარიშგასწორება.

ანგარიშგასწორება განყოფილებებთან:
ა) მიმდინარე ოპერაციებისათვის.
ბ) ძირითადი ფონდისათვის.
ანგარიშგასწორება სამრეწვ. და სას.-სამ. საწარმოებთან:
ა) მიმდინარე ოპერაციებისათვის.
ბ) ძირითადი ფონდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივი

მოსამსახურეები და მუშები გასამრჯელოსათვის.
საეჭვო მოვალენი.
გარდამავალი თანხები.

VII. პაები და აქციები სხვა ორგანიზაციებში მონაწილეობით.

VIII. ქონება.

შენობებანი დი ნაგებობანი.
ახალი შენობანი და კაპიტალური რემონტი.
მოძრავი ქონება:
ა) სამრეწვ. საწარმოთა მანქანები და გაწყობილობა.
ბ) უსულო ინვენტარი.
გ) სულიერი ინვენტარი.
დ) ტრანსპორტი.

IX. შინაგანი ანგარიშგასწორება.

ანგარიშგასწორება განყოფილებებთან:
ა) მიმდინარე ოპერაციებისათვის.
ბ) ძირითადი ფონდისათვის.
ანგარიშგასწორება სამრეწ. და სას.-სამ. საწარმოებთან:
ა) მიმდინარე ოპერაციებისათვის,
ბ) ძირითადი ფონდისათვის.

X. მომავალი წლების ხარჯები.

XI. ზარალი.

ა) საანგარიშო წლისა.
ბ) წარსული წლებისა.

პასსივი.

VI. მომწესრიგებელი ანგარიშები.

ქონების დაფარვა.
მაღაზიებში ქონებული საქონლისა.
საეჭვო მოვალეთა რეზერვი.

VII. შემოსავალი მომავალი წლისა.

VIII. მოგება:

ა) საანგარიშო წლისა.
ბ) წარსული წლებისა.

ბალანს-იქითა მუხლები.

საქონელი, საკომისიოდ მიღებული
საქონელი, დავალებით შესყიდული.
თამასუქები, უზრუნველსაყოფად მიღებული.
თამასუქმქონენი უზრუნველსაყოფად.
ფასეულობა, უზრუნველსაყოფად მიღებული.
ფასეულობა, საწინდრად მიღებული.
იჯარით აღებული ქონება.
კომიტენტები საკომისიო საქონლით.
კომიტენტები შესყიდული საქონლით.
თამასუქგამცემნი უზრუნველსაყოფად
თამასუქები, უზრუნველსაყოფად გაცემული.
დეპონენტები უზრუნველსაყოფად მიღებული ფასეულობით.
მესაწინდრენი.
იჯარის გამცემნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალანს-გარე მუხლები.

1. მიწა ..... დეს. დესეტინაზე ..... მან.
2. ტყე „ „ ..... მან.
3. წიაღი „ „ ..... მან.

მოგებისა და ზარალის ანგარიში.

დებეტი.

მთელი ზარალი საქონლის რეალიზაციისა:
  ა) საკუთარი.
  ბ) საკომისიო.
დამხმარე მეურნეობათა საექსპლოატაციო ხარჯები.
საერთო ადმინისტრატიული ხარჯები.
საერთო სავაჭრო ხარჯები.
პროცენტი გადახდილი.
კომისია გადახდილი.
არა-საამედო მოვალეთა ჩამოწერა.
ანარიცხი რეზერვისათვის.
  ა) საეჭვო მოვალეებისა
  ბ)
გადასახადები და გამოსაღები.
საქონლის შეფასება.
დანაკლისი, განადენი, დანაშრობი.
სხვადასხვა ხარჯები და ზარალი.

კრედიტი.

მთელი მოგება საქონლის რეალიზაციისა:
  ა) საკუთარი.
  ბ) საკომისიო.
მთელი შემოსავალი:
  ა) წარმოებათა.
  ბ) სას.-სამ. საწარმოთა.
დამხმარე საწარმოთა საექსპლოატაციო შემოსავალი.
კომისია მიღებული.
პროცენტი მიღებული.
მოგება ჩამოწერილი და რეზერვად მოქცეული ვალების მიღების გამო.
საქონლის გადანამეტები.
ზედნართული შეფასება საქონლისა.
სხვადასხვა შემოსავალი.

—

წმინდა მოგება.

წმინდა ზარალი.

შენიშვნა. ის კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს განყოფილება და სამრეწველო და სას.-სამ. საწარმო დამოუკიდებელი ანგარიშებით, შეადგენს ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს ვერტიკალური გრაფებით: „გამგეობისათვის“, „განყოფილებისათვის“ „სამრეწველო საწარმოთათვის“, „სას.-სამეურნეო საწარმოთათვის“ და „სულ“.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი**.
სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველოს უფროსი **კალანთაროვი**.
ვაჭრობა-მრეწველობის განყ. მმართველი **ფერბერგი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1057 №-ში 1925 წ. დეკემბრის 17-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

564. **„სსრ კავშირის სალაროს ერთიანობისათვის“ საერთო-საკავშირო კანონის გამოცემის გამო—საკასო ოპერაციებისა და კრედიტების და საავანსო განაცემების დაფარვის წესის თაობაზე არსებული კანონების გაუქმების შესახებ.**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სსრ-ბის კავშირის სალაროს ერთიანობის შესახებ 1925 წ. ოქტომბრის 16-ს თარიღით გამოცემული (1925 წლის „იზვესტია“-ს 267 №-რი) დადგენილების გამო—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: გაუქმებულ იქნეს:

ა) ა/კსსრ-ბის საკავშირო საბჭოს 1922 წ. დეკემბრის 25-ს დადგენილება—სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა საკასო ოპერაციების შესახებ (ა/კსსრ-ბის ფედ. კავშირის კან. კრ. 1923 წ. მე-6 №-რი, მუხ. 86) და

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს დადგენილება—კრედიტებისა და საავანსო განაცემების დაფარვის წესის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 440).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. დეკემბრის 14.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1058 №-ში 1925 წ. დეკემბრის 18-ს.

მუხ. 564

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

565. წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის შედგენილი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრკ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ გამოცემულ კანონთა კოდექსის (სსრკ კან. კრ. 1924 წ. 21 №-რი, მუხ. 197 და 198) 44 მუხ. განსავითარებლად—დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. დეკემბრის 14.

ინსტრუქცია

წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის ადმინისტრატიულისა და სასამართლო წესით, რაც შედგენილია სსრკ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ გამოცემულ კანონთა კოდექსის მიხედვით (კან. კრ. 1924 წ., 21 №-რი. მუხ. 197—198).

თავი პირველი.

ზოგადი დებულებანი.

1. აღსრულება ყველა იმ კანონისა, რაც კი იცავს წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობას და ინტერესებს, უპირველესი მოვალეობათაგანია საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოსი.

ყველა სახელმწიფო ორგანოს მოვალეობად ჩაეთვლება განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას მის განკარგულებაში წარმოებულ ყველა საქმეს, რაც წითელარმიელისა და მისი ოჯახის ინტერესებს შეეხება; ამასთანავე ამ ორგანოს მხედველობაში უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით ის გარემოება, რომ, რაკი წითელარმიელი ნამდვილ სამხედრო სამსახურშია და ადგილობრივ არ იმყოფება, აღნიშნულ ინტერესებს სათანადო დამცველი არ ეყოლება.

2. „წითელარმიელად“ იგულისხმება ყველა ის პირი, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილში, სამმართველოში და დაწესებულებაში, სახელდობრ: ა) მერიგეთა შედგენილობა, ბ) მეუფროსეთა შედგენილობა (უმცროსი, საშუალო უფროსი და უმაღლესი), რაც განიყოფება შემდეგ შედგენილობებად: საკომანდო (მუშ. და გლ. წით. არმიის მეთაურნი), ადმინისტრატიული, პოლიტიკური (საკომანდო-პოლიტიკური, პოლიტიკურ-განმანათლებელი და იურიდიულპ-ოლიტიკური—მუშ. და გლ. წით. არმიის პოლიტიკური მომუშავენი), სამედიცინო და საველტერინარო და გ) რეზერვში მყოფი პირი და შტატ-გარეშე დატოვებული.

3. უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა, რაც დაწესებულია წითელარმიელთა და მათ ოჯახთათვის ქვემოაღნიშნულ საფუძველზე, გავრცელდება მთლად „წითელფლოტელებზეცაც“, რომელნიც განიყოფებიან ისევე, როგორც წითელარმიელნი (მერიგეთა შედგენილობა, მეუფროსეთა შედგენილობა, და სხვ.), აგრეთვე გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა, რესპუბლიკანური საგანგებო კომისიებისა და საბადრაგო რაზმის პირად შედგენილობაზე და მათ ოჯახებზე.

4. უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა იმავე საფუძველზე გავრცელდება ქალებზე მათი თანამდებობის მიხედვით, რაც „წითელარმიელის“ მცნებას უნდა ეთანადებოდეს, როგორც იგი აღნიშნულია მე-2 მუხლში, აგრეთვე გავრცელდება მათ ოჯახებზეცდაც.

5. ასეთივე დაცვა გავრცელდება მე-2—4 მუხ. აღნიშნულ პირებზე და მათ ოჯახებზე, ამ პირთა ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ —სრულიად, ან სათადარიგოთა წრეში გადარიცხვით ან და უვადო შვებულებაში „გაშვებთა—ერთის წლის განმავლობაში დათხოვნის დღიდან ან იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭირო იქნება მათთვის მიცემული შეღავათის სრული განხორციელებისათვის (მაგალითად, კოდექსის 90 მუხ. თანახმად სამკურნალო დახმარების მიღებისათვის სამოქალაქო დაწესებულებაში, ან პროტეზის მიღებისათვის).

6. კოდექსისა და ამა ინსტრუქციის მოქმედება არ გავრცელდება სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ნებისად დაქირავებულ მოსამსახურეზე და მის ოჯახზე და აგრეთვე სამომსახურეო კომანდის ცვალებად შედგენილობაზე.

7. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელ კომიტეტს (სათანადო შემთხვევაში საქალაქო საბჭოს) დაეკისრება წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა იმ შემთხვევაში: ა) როდესაც წითელარმიელისა და მისი ოჯახის უფლებას და ინტერესს დაარღვევს სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო დაწესებულება, ცალკე თანამდებობის პირი ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია; ბ) როდესაც ზემოაღნიშნულ უფლებას და ინტერესს დაარღვევს ვინმე სხვა მოქალაქე და გ) როდესაც წითელარმიელის ოჯახში თავს იჩენს უთანხმოება, რასაც შეუძლიან ზიანი მიაყენოს ადგილობრივ არმყოფ წითელარმიელის ინტერესს.

შენიშვნა. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვას განახორციელებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონტროლით; ამასთანავე, უკეთუ საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტას რაიმე მიზეზით აყოვნებს ან სათანადოდ არ გადასწყვეტს ან და არ წარმართავს სადაც ჯერ არს, შეიძლება, გარდა პროკურატურისადმი მიმართვისა, საქმე გადატანილ იქნეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში.

8. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვას განახორციელებს უშუალოდ, როდესაც საქმე განსახილველია ადმინისტრატიულის წესით, ხოლო როდესაც საქმე საჭიროებს სასამართლოს წესით გადაწყვეტას, საქმეს გაგზავნის საადგილ-მამულო კომისიაში ან სასამართლოში ქვემდებარეობის მიხედვით, რისთვისაც შეასრულებს ყველა საჭირო მოქმედებას: ა) თავისი სათანადო ორგანოს მეშვეობით; ბ) მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მეშვეობით; გ) დამცველთა კოლეგიის წევრთა მეშვეობით, რომელთაც დანიშნავს კოლეგიის პრეზიდიუმი ან სათანადო კონსულტაცია და დ) წითელარმიელთა ოფიციალურ წარმომადგენელთა მეშვეობით, რომელთაც მათის თხოვნით სასამართლო დანიშნავს.

9. უკეთუ საჭირო იქნება წითელარმიელის უფლების და მოვალეობის დასამტკიცებლად ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, საამისოდ ოფიციალურად უფლებამოსილ პირს (მე-8 მუხ. „დ“ პუნქ.), აგრეთვე იმ პირს, რომელსაც აირჩევს წითელარმიელი ან მისი ოჯახი, უნდა მიეცეს წერილობითი რწმუნებულობა; ამასთანავე ყოველთვის საკმარისია, რომ მრწმუნებელი—წითელარმიელის ხელმონაწერი შემოწმებულ იქნეს იმ სამხედრო ნაწილის მიერ, სადაც წითელარმიელი მსახურობს, საღერბო ბეჭდის დასმით.

რწმუნებულობის შემოწმება სამხედრო ნაწილის მიერ ეთანაბრება სანოტარო შემოწმებას.

თავი მეოთხე.

წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა ადმინისტრატიულის წესით.

10. როდესაც საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს წითელარმიელისა ან მისი ოჯახის საჩივარს ან განცხადებას მისი უფლების დარღვევის შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, რომ კანონით დადგენილი შეღავათი და უპარატესობა არ მიეცა, ან რომ დარღვეულია მისი ქონებრივი

№ 122223 ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა, აღნიშნული აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა განიხილოს საჩივარი (განცხადება) და მისცეს მას მსვლელობა სამის დღის განმავლობაში, ან გადასწყვეტოს იგი თავისი კომპეტენციის ფარგალის მიხედვით შვიდი დღის განმავლობაში.

11. წითელარმიელის ან მისი ოჯახის საჩივრის (განცხადების) განხილვის დროს საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი იმ მიზნით, რათა, რაც შეიძლება მეტის სისწორით და სამართლიანობით გადასწყვიტოს საქმე, მოვალეა, გარდა წარდგენილი ახსნა-განმარტებისა და მასალისა, ხელი შეუწყოს საქმის გადაწყვეტისათვის სამნიშვნელო გარემოებათა გამორკვევს, რისთვისაც უნდა მოითხოოს საჭირო ცნობები და სხვა მასალა და აქტიური დახმარება გაუწიოს წითელარმიელსა და მის ოჯახს მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, რათა იმ პირთა იურიდიული მოუმზადებლობა და წერა-კითხვის მცირე ცოდნა, რომელთაც მას მიმართეს,—გამოყენებულ არ იქნეს მათ საზიანოდ.

12. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა საქმის გადაწყვეტისათანავე აცნობოს ეს განმცხადებელს, ხოლო საჭირო შემთხვევაში, უკეთუ განმცხადებელი წითელარმიელი არ არის, საქმის გადაწყვეტა ამ უკანასკნელსაც აცნობოს.

13. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა თავისი ინიციატივით, იმისდა მიუხედავად, მიიღებს თუ არ მიიღებს საჩივარს (განცხადებას), დაიცვას წითელარმიელი და მისი ოჯახი ყველა იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია ამა ინსტრუქციის მე-7 მუხლში.

14. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მონაწილეობას მიიღებს წითელარმიელის ოჯახში სხვა-და-სხვა ინტერესთა გამო აღძრულ უთანხმოების გადაწყვეტაში, უკეთუ ამ უთანხმოებას შეუძლიან ზიანი მიაყენოს ადგილობრივ არმყოფ წითელარმიელის ინტერესებს, რათა აღნიშნული უთანხმოება გადაწყვეტილ იქნეს სისწორით და სამართლიანობით.

ამ მონაწილეობის დროს საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღებს რა ანგარიშში წითელარმიელის ოჯახის ამა თუ იმ წევრის მოთხოვნას, მოიხმარს ყოველ ღონისძიებას, რათა დავა მშვიდობიანად გადასწყვიტოს, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს მომქმედი კანონი, რომლითაც შრომის შენაერთის შემადგენელ ოჯახების წევრთა ურთიერთობა მოწესრიგდება.

უკეთუ დავა მორიგებით გადაწყვეტილ ვერ იქნა, საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მიასწავლის კანონიერ გზას აღძრული უთანხმოების გადასაწყვეტად.

15. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა იქონიოს განსაკუთრებული მზრუნველობა, რათა წითელარმიელის ოჯახის არა სრულწლოვან წევრებს გაეწიოს თავის დროზე, ხელთქონებულ საშუალებათა ფარგალში, კანონით დადგენილი შეღავათი, განსაკუთრებით-კი სახახლო განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროში.

16. საჭირო შემთხვევაში საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა: ა) მიიღოს ღონისძიება წითელარმიელის ოჯახის მცირე-

ფლოვანი წეგრილისათვის მეურვეობის დასანიშნად და ზედამხედველობა იქონიოს, რათა მეურვეობა თავის მოვალეობას ასრულებდეს; ბ) შეიტანოს საჩივარი, შეატყობინოს სადაც ჯერ არს და მიიღოს საიდანაც საჭირო იქნება ცნობები და სხვ.; გ) დაიცვას წითელარმიელის ინტერესები იმ არტელებისა, კოოპერატივებისა და აბხანაგობების საერთო კრებებზე, სადაც წითელარმიელი წევრად არის; დ) შეიმუშაოს ხელშეკრულობებისა ან შეთანხმებების პირობები, მოითხოოს მათი აღსრულება და სხვ.

17. რათა უზრუნველყოფილ იქნეს წითელარმიელთა ოჯახებისათვის კანონით მინიჭებული შეღავათებისა და უპირატესობის სისავსით გამოყენება,—სამაზრო და მისი თანაბარი აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა: ა) მიიღოს ღონისძიება, რათა ყველა მისი ქვემდებარე განყოფილება, საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი და სოფლის საბჭო, აგრეთვე მათი თანამდებობის პირნი გაეცნონ შეღავათების კოდექსს და ამ კოდექსის დასამატებლად და განსავითარებლად გამოცემულ კანონებს და განკარგულებებს, აღნიშნულ ორგანოებისათვის და თანამდებობის პირთათვის ინსტრუქტორობის გაწევის მეშვეობით; ბ) მიიღოს ღონისძიება, რათა წითელარმიელთა ოჯახები ფართოდ გაეცნონ ყველა იმ შეღავათებს, რაც მათთვის მინიჭებულია კოდექსით, აგრეთვე ამ შეღავათების განხორციელებისა და დაცვის წესს, კერძოდ—იმ წესს, რომლითაც მათ უნდა მიმართონ ხოლმე საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელ კომიტეტს წითელარმიელთა და მათ ოჯახთა ინტერესების დაცვის საკითხების გამო, რომელი წესიც დადგენილია ამა ინსტრუქციით; გ) მოაწყოს საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წითელარმიელთა ოჯახების აღნუსხვის საქმე; დ) მიიღოს ღონისძიება წითელარმიელთა ოჯახებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად პირველ რიგში და უსასყიდლოდ.

თავი მესამე.

წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა სასამართლოს წესით.

18. საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღებს თუ არა ცნობას ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც წითელარმიელის და მისი ოჯახის ინტერესებს არღვევს ან არსებითად ეხება, როგორიც არის მაგალითად: ა) აშკარა საზიანო გარიგების დადება კომლის ქონებაზე, კერძოდ, უკიდურესი გაჭირვების გამო; ბ) ოჯახის მიწათსარგებლობის უკანონოდ შევიწროება; გ) საცხოვრებელი ბინის სარგებლობის უფლების დარღვევა; დ) ცოლშვილისათვის სარჩენი სახსარის მოკლება; ე) გადახდევინების მიქცევა ან იძულებითი გაყიდვა ისეთი ქონებისა, რაც არ უნდა იქნეს აწერილი და შეკრული; ვ) არ-კანონიერი გამოყოფა ან საოჯახოდ გაყოფა ქონებისა; ზ) წითელარმიელისა ან მისი ოჯახის კუთვნილი ქონების გაფლანგვა ან მითვისება; თ) სარჩელის წარდგენა ან გადახდევინების წარმოება და სხვ.,—მოვალეა, ვისგანმე თხოვნის ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადების შეტანის დაუცდელად, მიიღოს სათანადო ღონისძიება წითელარმიელისა და მისი ოჯახის ინტერესების დასაცავად.

19. ამ მიზნით საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით: ა) აღძრას ყოველგვარი სარჩელი და ჩადგეს უკვე წარმოებულ სასამართლო საქმეში აკსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სამოქ. სამართლის საპროცესო კოდექსის 172 მუხლის წესისამებრ; ბ) აცნობოს საპროკურორო ზედამხედველობის პირთ თხოვნა სარჩელის წარდგენისა, საქმეში ჩადგომისა ან ძალაში შესულ გადაწყვეტილებისა თუ განაჩენის გამო პროტესტის შეტანისა და განსაჩივრების შესახებ; გ) ითხოოს საქმის წარმოების შეჩერება იმავე სამოქ. სამართლის საპროცესო კოდექსის 114 მუხლის „ბ“ პუნქტის წესისამებრ; დ) დაესწროს გაყრის წარმოებას, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას და სხვ. რამ ამისთ.

20. შეღავათების კოდექსის 44 მუხლის წესისამებრ საქმის წარმოების დროს საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელ კომიტეტს და მისი უფლებამოსილობით მომქმედ ორგანოს თუ თანამდებობის პირს აქვს ყველა უფლება მხარისა პროცესში, იმისდამიუხედავად, იღებს თუ არ იღებს პროცესში მონაწილეობას თვით დაინტერესებული პირი.

21. ყოველგვარი გადახდევინების შესახებ, რაც მიქცეულია წითელარმიელზე თუ მის ოჯახზე სოფლად, აღმასრულებელმა უნდა აცნობოს სოფლის საბჭოს; ამ უკანასკნელის შეხედულებაზეა დამოკიდებული—სთხოოს სასამართლოს შეაჩეროს აღსრულება აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქ. სამართლ. საპროცესო კოდექსის 114 მუხ. წესისამებრ, ან, ვინიცობაა წითელარმიელის ოჯახში არ არის ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს მისი ინტერესების დაცვა, სთხოოს სასამართლოს დანიშნოს ოფიციალური წარმომადგენელი აღსრულების ადგილის მიხედვით აღნიშნული კოდექსის 259 მუხლის წესებისამებრ, ან და მიიღოს გადასახდელის გადახდევინებაში მონაწილეობა მოვალის მხარეზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას იგივე უფლებანი ეკუთვნის საქალაქო საბჭოს.

22. განსაკუთრებული ყურადღება საუბნო, სათემო თუ სადაირო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მიაქციოს საადგილ-მამულო კომისიებში (და სათანადო შემთხვევაში სასამართლოში) სადავო საქმეების გარჩევას წითელარმიელთა მეურნეობის შრომის საფუძველზე იჯარით აღების შესახებ და შრომის ხასიათის იმ სამოწათმოქმედო მეურნეობის გაყოფის შესახებ, რომლის წევრიც წითელარმიელია.

23. საადგილ-მამულო კომისიებში გასარჩევი საქმის გამო წითელარმიელს და აგრეთვე იმ პირთა საოჯახო-შრომის შენაერთს, რომელნიც ერთად ეწევიან სოფლის მეურნეობას ისეთი კომლებისას, სადაც წითელარმიელი შედის, სასამართლო ბაჟი, განსაკუთრებული საკანცელარიო გამოსაღები და სხვა გამოსაღები, მათ შორის საღერბო, არ გადაჰხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე.

წითელარმიელთა და მათ ოჯახთა მიერ საჩივრისა და განცხადების წარმართვის წესი.

24. წითელარმიელი თავის საჩივარსა და განცხადებას, საერთო წესებისამებრ, გაჰგზავნის წითელარმიელთა წერილების ბიუროს რწმუნებულის მეშვეობით.

25. წითელარმიელის ოჯახი თავის საჩივარსა და განცხადებას, საერთო წესებისამებრ, გაჰგზავნის გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების სათანადო კომიტეტის მეშვეობით.

26. საჩივარი და განცხადება წითელარმიელს და მის ოჯახს შეუძლიან სხვა საშუალებითაც გაჰგზავნოს, უკეთუ ეს გამგზავნელისათვის უფრო მოხერხებულია.

27. ის საჩივარი და თხოვნა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სპეციალურად დადგენილი წესისამებრ, კერძოდ, განსაზღვრულ ვადაზე (როგორიც არის, მაგალითად, თხოვნა თუ საჩივარი გადასახადისა, გამოსაღებისა და სხვ. გამო) უნდა გაიგზავნოს ისე, რომ აუცილებლად დაცულ იქნეს არსებული წესი და ვადა.

თავი მეხუთე.

პროკურატურის ზედამხედველობა წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლების დაცვისათვის.

28. ამა ინსტრუქციის მე-7 მუხ. წესების თანახმად პროკურატურას დაეკისრება ზედამხედველობა გაუწიოს თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და კერძო პირთა მოქმედების კანონიერებას წითელარმიელთა და მათ ოჯახთა მიმართ.

29. პროკურატურა მოვალეა მუდმივ თვალყური ადევნოს წითელარმიელთა წერილების ბიუროს იმ რწმუნებულთა მუშაობას, რომელნიც დაინიშნებიან ა|კ. ცენ. აღმ. კ-ტის 1924 წ. მარტის 3-ს თარიღით გამოცემულ ცირკულიარში აღნიშნული წესისამებრ.

30. აღნიშნულმა რწმუნებულებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ხოლმე საპროკურორო ზედამხედველობის სათანადო პირს ყოველი შემთხვევა, როდესაც ბრკოლდება ან გაჭიანურდება მათ მიერ აღმასრულებელ კომიტეტებისათვის გადაცემული საქმის წარმოება და აგრეთვე ყოველი მათ მიერ შემჩნეული დარღვევა მომქმედი კანონებისა ამ საქმეთა გადაწყვეტის სფეროში.

31. ყოველი საჩივარი და განცხადება, რაც-კი წითელარმიელთა ოჯახებისაგან შემოვა, პროკურატურამ პირველ რიგში უნდა გაარჩიოს და გამოიძიოს; ამასთანავე აუცილებლად უნდა შეადგინოს დასაბუთებული დადგენილება თვითეული საჩივრისა და განცხადების შესახებ, რომელიც კი უმოძრაოდ იქნება დატოვებული.

32. წითელარმიელთა და მათ ოჯახთა ინტერესების დასაცავად პროკურატურას მოვალეობად ჩაეთვლება, რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს ა|კესერ

შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქ. სამართლ. საპროც. კოდექსის მე-2 და 254 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებანი.

თავი მეექვსე.

თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა წითელარმიელთა უფლების დასაცავად ღონისძიებათა მიუღებლობისათვის.

33. ის თანამდებობის პირი, რომელიც არ მიიღებს ღონისძიებას წითელარმიელთა და მათ ოჯახთა სამართლიანი ინტერესების დასაცავად, პასუხისგებაში იქნება მიცემული აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებისამებრ, რაც რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სისხლის სამართლის კოდექსის 107—108 მუხლებს ეთანადება.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1063 №-ში 1925 წ. დეკემბრის 24-ს

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. დეკემბრის 22.

566. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირის გამოანგარიშების წესის შესახებ“ 1924 წ. ნოემბრის 25-ს თარიღით გამოცემული განმარტების დამტკიცებისათვის.

რადგანაც ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ნოემბრის 25-ს განმარტება „გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირის გამოანგარიშების წესის შესახებ“ შეფარდების დროს გაუგებრობას იწვევს, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი დამატებით განმარტავს, რომ გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირის გამოანგარიშების საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს საშუალო სამუშაო ხელფასი მარტოოდენ ნაჭრობით მომუშავეთათვის. რაც შეეხება იმ პირთ, ვინც შრომის სასყიდელს დროიდან-დრომდე იღებს, მათ უნდა მიეცეს სათანადო შრომის სასყიდელი, რაც კომპენსაციის მიცემისა ან შვებულებაში წასვლის მომენტისათვის აქვთ. უკეთუ იმ პირს, რომელიც შრომის სასყიდელს დროიდან-დრომდე იღებს, აქვს აგრეთვე მუდმივი სხვა შრომის საშოვარი, კომპენსაცია და შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირი მას მიეცემა საშუალო სამუშაო ხელფასის მიხედვით, თანახმად ა/კ. შრომის სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიატის მიერ 1924 წლის ივლისის 8-ს თარიღისა და 102 №-რის დადგენილებისა—„საშუალო სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო
კომისრის მაგიერ **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სტარ.-საკონფლ. განყ. გამგე **მ. ლეონი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1064 №-ში 1925 წ. დეკემბრის 25-ს.

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ნოემბრის 23.

567. შვებულებაში მიმავალ პირთათვის მისაცემი სამუშაო ხელფასიდან მათი ოჯახის წევრთა სარჩენად საჭირო თანხის დაჭერის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „შვებულებაში წასულთათვის მისაცემი სამუშაო ხელფასიდან და შვებულების გამოუყენებლობისათვის მისაცემი კომპენსაციიდან ამა თუ იმ დასაქერი თანხის გამოუკლებლობის შესახებ“ 1925 წ. მაისის 14-ს თარიღით გამოცემული განმარტების დასამატებლად—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ შვებულებაში დათხოვნილ მუშა-მოსამსახურისათვის ავანსად მისაცემი სამუშაო ხელფასიდან რაიმე თანხის დაჭერის აკრძალვა არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც აღმასრულებელი ფურცელით ყოველივე სამუშაო ხელფასიდან დაჭერილ უნდა იქნეს უწყებული თანხა ოჯახის წევრთა სარჩენად (ალიმენტი). ასეთი თანხის დაჭერა დამქირავებელმა უნდა აწარმოოს საერთო წესისამებრ.

ა/კ. შრომის სახალხო
კომისრის მაგიერ **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სტარიფო-საკონფ. განყ. გამგე **მ. ლეონი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1064 №-ში 1925 წ. დეკემბრის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 47 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. დეკემბრის 22.

568. შემოსული თანხების საერთო-საკავშირო სათადარიგო ფონდში გადარიცხვის წესის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „დასვენების სახლებზე და სანატორიო-სკურორტო დახმარებაზე დაზღვევის სახსართა დახარჯვის წესის შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 21-ს თარიღითა და 15-ს №-რით გამოცემული ცირკულიარის გასაუქმებლად და თანახმად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიტის სოციალური დაზღვევის ფონდების დებულების (გამოქვეყნებულია ა/კსფსრ შრომის მომქმ. კანონმდ. კრებ.—1925 წ., გვ. 500) მე-4 და 18 მუხლისა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ „სოციალური დაზღვევის ფონდების დებულების განხორციელების შესახებ“ გამოცემული ინსტრუქციის (დაეგზავნა ყველა სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს 1924 წ. ივნისის 26 თარიღითა და 208/1520 № რით) მე-7, 9, 10, 12 და 15 მუხლისა, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ:

1. დაამყაროთ წესი შემოსული თანხების საერთო-საკავშირო სათადარიგო ფონდში გადარიცხვისა და გადაგზავნისა სრული 10 პროცენტის რაოდენობით, თანახმად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის ფონდების დებულებისა და ამ დებულებისათვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციისა.

2. სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურმა სამმართველოებმა არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10-ს რიცხვისა უნდა შეიტანონ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოში ყველა ის თანხა, რაც რესპუბლიკანურ სამმართველოების ანგარიშებით შემოსულა საერთო-საკავშირო სათადარიგო ფონდისათვის.

3. წინადადება ეძლევა სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოების უფროსებს თვიანთი პირადი პასუხისმგებლობით იქონიონ მეთვალყურეობა, რათა ეს ცირკულიარი უცვლელად იქნეს შესრულებული.

4. ცირკულიარი ესე ძალაში შედის 1925 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს უფროსი **იაშვილი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან **შვარცი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1064 №-ში 1925 წ. დეკემბრის 25 ს.

11/I—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტ 56. შეკ. № 3654/565. დაიბეჭდა 1500.